საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-8/4309
26/04/2022

4309-15-8-2-202204260951

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ ვახტანგ გომელაურს

წინადადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფლებამოსილ თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ვახტანგ,

2021 წლის 9 ივნისს სახალხო დამცველის აპარატს N5860/21 განცხადებით მომართა მოქალაქე [redacted], რომელიც მისი შვილების მიმართ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებდა.

ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული 2021 წლის 16 და 23 ივნისს შეხვდა და გაესაუბრა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს [redacted] რომელმაც მიუთითა დაკავებისას მისი და მისი შვილების მიმართ უფლებამოსილების გადამეტების შესახებ.

მსჯავრდებულის ადვოკატმა განმარტა, რომ [redacted] პოლიციამ დააკავა საცხოვრებელი კორპუსის ეზოში. ადვოკატის ცნობით, პოლიციას ძალის გამოყენებით სურდა [redacted] 14 წლის შვილის დაკავება, თუმცა ფიზიკური ძალის არასაკმარისობის გამო ვერ მოახერხეს მისი ავტომანქანაში ჩასმა. მოგვიანებით, განმცხადებლის ვაჟი მეზობლის კუთვნილი ავტომანქანით გამოცხადდა პოლიციის შენობასთან. დაკავებისას ძალის შესაძლო გადამეტების შესასწავლად, ადვოკატმა მიმართა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსპექციას.

ადვოკატმა მიუთითა ყველა გარემოებაზე, მათ შორის დაკავების თვითმხილველებზე, რომლებიც ძალის გადამეტებას ადასტურებდნენ.[1]

სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის[2] პასუხად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ აპარატს აცნობა, რომ 2020 წლის 4 სექტემბერს გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზზე დაფიქსირდა ადვოკატ [redacted] შეტყობინება. იგი მიუთითებდა პოლიციელების მხრიდან არასრულწლოვან [redacted] მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე. აღნიშნული შეტყობინება შემდგომი რეაგირების მიზნით, ქვემდებარეობით გადაიგზავნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გამოკითხვის დროს, არასრულწლოვანმა არ დაადასტურა პოლიციელების მხრიდან ფიზიკური ძალადობის ფაქტი და განაცხადა, რომ მას მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. შესაბამისად, საქმე შესასწავლად კვლავ გენერალურ ინსპექციას დაუბრუნდა. ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, უწყების ცნობით, მოსამსახურეების მხრიდან დისციპლინური გადაცდომა არ დადასტურდა.[3]

სახალხო დამცველის აპარატმა არაერთხელ გამოითხოვა გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები.[4] აღნიშნული მოთხოვნით აპარატიდან პირველი წერილი გაიგზავნა 2021 წლის 13 აგვისტოს. მიუხედავად „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ინფორმაციის მიწოდების 10 დღიანი ვადისა, მხოლოდ 2021 წლის 31 დეკემბერს, თითქმის 5 თვიანი დაგვიანებით წარმოადგინა გენერალურმა ინსპექციამ აღნიშნული მასალების ასლები.[5]

გენერალური ინსპექციის შემოწმების მასალები

შემოწმების მასალებით ირკვევა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა გამოკითხა არასრულწლოვანი [redacted] და სოციალური მუშაკი [redacted] რომელთა გამოკითხვის ოქმები თან ახლავს სამსახურებრივი შემოწმების მასალებს.

[redacted] გამოკითხვის ოქმიდან ირკვევა, რომ 2022 წლის 4 სექტემბერს მის საცხოვრებელ კორპუსთან (ქ. თბილისი, [redacted]) გამოცხადებულმა რამდენიმე პოლიციელმა ძალის გამოყენებით ჩასვეს პოლიციის ავტომობილში [redacted] დედა, [redacted] ხოლო მისი სამი არასრულწლოვანი და სოციალურმა მუშაკებმა წაიყვანეს ავტომობილით. მისი განცხადებით, პოლიციელებმა არ განუმარტეს თუ რის გამო უნდა გაყოლოდნენ თვითონ და მისი დები პოლიციელებს. [redacted] მოახერხა დაერეკა ადვოკატისთვის, რომელმაც ადგილზე დარჩენა ურჩია.

---

[1] ადვოკატ [redacted] 2021 წლის 7 ივლისის სატელეფონო გასაუბრების ოქმი.

[2] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 14 ივლისის N15-10/6870 წერილი.

[3] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2021 წლის 4 აგვისტოს N8428/21 წერილი.

[4] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 14 ივლისის N 15-10/6870, 13 აგვისტოს N 15-10/7922, 10 სექტემბრის N 15-10/8752, 11 ოქტომბრის N 15-10/9744 და 29 ოქტომბრის N 15-10/10319 წერილები.

[5] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2021 წლის 31 დეკემბრის N14155/21 წერილი.

აღნიშნულის მიუხედავად, [redacted] ჩასვეს ავტომობილში და 5-6 თანამშრომელი (რომელთა შორის არ იყო ქალი პოლიციელი) შეეცადა ძალის გამოყენებით ჩაესვა არასრულწლოვანი [redacted] ავტომობილში. მისი განცხადებით, მისი ფიზიკური მონაცემების გამო ვერ მოერივნენ პოლიციელები, იგი ებღაუჭებოდა კორპუსთან არსებულ ძელს, ხოლო პოლიციელები ეჭიდავებოდნენ მას. ერთ-ერთმა მათგანმა მკლავი უკნიდან შემოხვია ყელის არეში და უკან გადაწია, რათა ხელი გაეშვა ძელისთვის. ამ ქმედების გამო [redacted] გაუჭირდა სუნთქვა რამდენიმე წამის განმავლობაში. ამ ფაქტს რამდენიმე მეზობელი ესწრებოდა, ერთ-ერთი მათგანი [redacted], მივარდა პოლიციელებს, რომლებმაც ხელი გაუშვეს არასრულწლოვანს. ეს უკანასკნელი ინერციით დაეცა მიწაზე, თუმცა რაიმე სახის ტრავმა არ მიუღია.

როგორც არასრულწლოვანი ამტკიცებს, პოლიციელებმა მის მიმართ არაპროპორციული ძალა გამოიყენეს, არ აუხსნეს გარემოებები, რის გამოც განიცადა ძლიერი სტრესი. გამოკითხული პირი ასევე მიუთითებს, რომ ავტომობილში ძალით ჩასმის მცდელობისას პოლიციელმა მას უწოდა „ნაბიჭვარი". საბოლოოდ, მეზობელმა [redacted] შესთავაზა პოლიციელებს მისი მიყვანა პოლიციის განყოფილებაში საკუთარი ავტომობილით, რაზეც დათანხმდა ორივე მხარე. [redacted] ასახელებს სხვა გარეშე პირებს, კერძოდ, მეზობლებს,[6] რომლებიც შეესწრნენ აღნიშნულ ინციდენტს.

გამოკითხვის ოქმით იგი ხაზს უსვამს სხვა ფაქტსაც, რომელსაც ადგილი ჰქონდა ისანი-სამგორის პოლიციის მე-2 სამმართველოს შენობასთან. პოლიციელებმა არ მისცეს შესაძლებლობა გადმოსულიყო ავტომობილიდან, იმ დროს როდესაც იგი არ იყო დაკავებული. ასევე პოლიციის შენობასთან ლოდინისას ერთი-ერთი პოლიციელი დაემუქრა გაძალიანებისა და წინააღმდეგობის გაწევის გამო და უთხრა „შენ რომ ცირკი დაგვიდგი და გაგვიძალიანდი, ბოზიშვილი ვიყო ნახე შენ თუ ჭკუა არ გასწავლო." არასრულწლოვანი მიუთითებს ემოციურ დაძაბვაზე და სტრესზე, რა ვითარებაშიც მოხდა მისი დედის პოლიციის შენობაში გადაყვანა.

ადგილზე გამოძახებულმა სოციალურმა მუშაკმა, [redacted] განმარტა, რომ პოლიციის თანამშრომლებმა წინასწარ შეატყობინეს ტელეფონით, რომ იგეგმებოდა [redacted] დაკავება და მისი 4 არასრულწლოვანი შვილი უმეთვალყურეოდ რჩებოდა. მისი ცნობით, სოციალურ სამსახურს ადრეც ჰქონია ამ ოჯახთან ურთიერთობა, წინა გამოცდილების გამო ადგილზე მასთან ერთად გამოცხადდა 2 სოციალური მუშაკი - [redacted] და [redacted] გამოკითხვის ოქმით არ დასტურდება არასრულწლოვან [redacted] პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ფიზიკური ძალადობის ფაქტი. მისი განცხადებით, არასრულწლოვანი აღელვებული იყო. ხოლო პოლიციელები ცდილობდნენ მხოლოდ სიტყვიერად დაემშვიდებინათ, უხსნიდნენ, რომ წაყოლოდა სოციალურ მუშაკებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ჩამჯდარიყო პოლიციის ავტომობილში და წაყოლოდა მათ.

---

[6] გამოკითხვის ოქმით იდენტიფიცირებულია შემდეგი მეზობლები - [redacted], რომლის გვარი გამოკითხულ პირს არ ახსოვს.

არასრულწლოვან [redacted] და სოციალურ მუშკთან გამოკითხვა ჩაატარა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელმა. ვინაიდან სამსახურის ქვემდებარე დანაშაულის ნიშნები არ იკვეთებოდა, საქმე გადაიგზავნა გენერალურ ინსპექციაში.

საქმის მასალებში დევს [redacted] დაკავების ადგილზე გამოცხადებულ პოლიციის თანამშრომლებთან - [redacted], [redacted] და [redacted] სატელეფონო გასაუბრების ოქმები. სამივე მათგანი აბსოლუტურად იდენტური სახისაა. პოლიციელების გამოკითხვის შედეგად არ დასტურდება გამოკითხული არასრულწლოვანის მიერ დასახელებული ფაქტები. ოქმები არის ზედაპირული ხასიათის და არ შეიცავს დეტალებზე ორიენტირებულ, კრიტიკულ კითხვებს.

სამართლებრივი დასაბუთება

მოქმედი კანონმდებლობა ავალდებულებს ყველა პოლიციელს თავის საქმიანობაში განუხრელად დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერების, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპები.[7]

პოლიციის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები არ უნდა ხელყოფდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას, არ უნდა არღვევდეს ადამიანის სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და საკუთრების უფლებებს და სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.[8] საპოლიციო ღონისძიების განხორციელებისას დაუშვებელია წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.[9]

პოლიციელის მიერ საპოლიციო ღონისძიების პოლიციის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების დარღვევით განხორციელება იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.[10]

სამინისტროს სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ამოცანას წარმოადგენს.[11]

სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების პროცესში, მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას, გენერალური ინსპექციის მოსამსახურეს უფლება აქვს მოითხოვოს და დაუყოვნებლივ მიიღოს (მათ შორის, ადგილზე გაცნობით) სამინისტროს მოსამსახურისგან

---

[7] საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ", მუხ. მე-8, პ. 1.
[8] იქვე, მუხ. მე-9, პ. 1.
[9] იქვე, მუხ. მე-9, პ. 2.
[10] იქვე, მუხ. მე-8, პ. 2.
[11] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება, მუხ. 2, ქვეპ. „ბ".

სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისათვის აუცილებელი ან/და მის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.[12]

გენერალური ინსპექციის კომპეტენციაა ეთიკისა და დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე მეთვალყურეობის კამერების, აგრეთვე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამხრე ვიდეოკამერებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე დამონტაჟებული /განთავსებული ვიდეოტექნიკის საშუალებით მიღებული ინფორმაციის დამუშავება.[13]

კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების მიუხედავად, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ ჩადენილი შესაძლო უკანონო ქმედებების შესახებ მოქალაქეთა საჩივრებზე ეფექტიანი რეაგირება სამწუხაროდ კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მუშაობის პროცესში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებდა სახალხო დამცველი სპეციალურ ანგარიშში, მათ შორის, საქმეებში ნეიტრალური მტკიცებულებების არარსებობისა და შესაძლო დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების საჭიროებაზე.[14] ამ მიმართულებით გამოწვევები ისევ რჩება, რისი ნათელი მაგალითიც წინამდებარე საქმეა.

წინამდებარე საქმის ანალიზი

მოცემული საქმის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ პოლიციის თანამშრომლების სატელეფონო გამოკითხვის ოქმები შინაარსობრივად არ არის დეტალებზე ორიენტირებული და ამავდროულად არასრულწლოვან [redacted] მიერ აღწერილ გარემოებებს არ ემთხვევა. კერძოდ, პოლიციელები არ ადასტურებენ ფიზიკური იძულებისა და სიტყვიერი შეურაცყოფის ფაქტებს და უთითებენ, რომ [redacted] დაკავება და მისი 3 არასრულწლოვანი შვილის გადაყვანა სოციალური მუშაკების მიერ სრულიად მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა. აცხადებენ, რომ ოქმებზე დაყრდნობით, არასრულწლოვან [redacted] პროტესტზე პოლიციელებმა მშვიდად აუხსნეს და განუმარტეს შექმნილი სიტუაცია, რომ შეუძლებელი იქნებოდა მისი დატოვება სახლში მარტო და ვინაიდან იგი 15 წლისაა, კანონის მიხედვით მას ჰქონდა შესაძლებლობა აერჩია თუ სად დარჩებოდა. აქედან გამომდინარე,

---

[12] იქვე, მუხ. 9, პ. 2.

[13] იქვე, მუხ. 3, პ. გ[2].

[14] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „დისციპლინური წარმოება, მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ“, ხელმისაწვდომია: < shorturl.at/vBEKZ > [ბოლოს ნანახია: 29.03.2022].

გათვალისწინებულ იქნა მისი სურვილი და პოლიციის თანხლებით იგი გადაიყვანეს კახეთში, ბებიასთან.

[redacted] გამოკითხვის ოქმის მიხედვით, დაკავებისას ადგილზე გამოცხადებული იყო 3-ზე მეტი პოლიციის თანამშრომელი, დედის დაკავებისას კი ქალი პოლიციის თანამშრომლის ყოფნას არ ადასტურებს. პოლიციის თანამშრომლების განმარტებით კი, მხოლოდ ეკიპაჟის 3 თანამშრომელი იყო ადგილზე გამოცხადებული - [redacted] და [redacted].

ამასთან, გამოკითხული [redacted] პოლიციის თანამშრომელის მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფისა და მუქარის ფაქტზე საუბრისას აცხადებს, რომ აღნიშნულს ადგილი ჰქონდა პოლიციის შენობასთან, რაზეც პოლიციელების გამოკითხვის ოქმში არაფერია ნახსენები.

ამრიგად, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება ცალსახად არასრულყოფილია. როდესაც სახეზეა მხოლოდ განმცხადებელი პირის და მეორე მხრივ ფაქტთან შემხებლობაში მყოფი 3 პოლიციის თანამშრომლის გამოკითხვის ოქმები, რომლებიც სრულიად განსხვავებულად აღწერენ ფაქტებს. საქმისწარმოების მასალებით მოპოვებულია მხოლოდ ერთი ნეიტრალური მტკიცებულება სოციალური მუშაკის გამოკითხვის ოქმის სახით. მასალებზე დაყრდნობით, არ იკვეთება საქმისთვის რელევანტური და ობიექტური ჭეშმარიტების დამდგენი სხვა სახის მტკიცებულების მოპოვების მცდელობაც კი. კერძოდ:

- არ არის გამოკითხული 2 სოციალური მუშაკი, რომლებიც როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა აქტიურად ესაუბრებოდნენ [redacted]. შესაბამისად, შესაძლოა მეტ დეტალზე ჰქონოდათ ინფორმაცია;

- გენერალური ინსპექციის მიერ არ გამოკითხულა არც ერთი ნეიტრალური პირი, მათ შორის, დაკავების ადგილას მყოფი მეზობლები. ადვოკატმა ცხელ ხაზზე განცხადების დაფიქსირებისას მიუთითა მათი ვინაობები. არასრულწლოვანის გამოკითხვის ოქმში რამდენიმე მათგანის სახელი და გვარია დაფიქსირებული, მაგალითად: [redacted] (გვარი გამოკითხულ პირს არ ახსოვს);
- არ არის მოპოვებული და შესწავლილი დაკავების ადგილას გარე მეთვალყურეობის კამარების ვიდეოჩანაწერები. საქმის მასალებით არ დგინდება ასეთი ობიექტური მტკიცებულების მოპოვების მცდელობაც - მაგალითად, ადგილის დათვალიერების ოქმი;
- ასევე არ არის გამოთხოვილი სამხრე ვიდეოკამერების ჩანაწერები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მასალებში არ იკვეთება რომ ადგილზე გამოცხადებული პოლიციელები არ იყვნენ აღჭურვილი აღნიშნული ტექნიკით ან/და არ არსებობს ჩანაწერი;
- საქმის მასალების მიხედვით, არ არის მომზადებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგების ამსახველი შესაბამისი დასკვნა;[15]

---

[15] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება, მუხ. 9, ქვეპ. „5".

- მოქალაქე [redacted] და მისი უფლებადამცველი [redacted] არ არის ინფორმირებული ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგების შესახებ.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით აშკარაა, რომ გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული შემოწმება არასრულყოფილია. ყველა შესაძლო ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვებისა და შესაბამისი მოწმეების გამოკითხვის შემთხვევაში შესაძლოა სამსახურებრივი შემოწმება განსხვავებული შედეგით დასრულებულიყო. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ და სხვა შემთხვევაში, მოქალაქეთა საჩივრების დროული, მიუკერძოებელი და ეფექტიანი განხილვა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ერთი კონკრეტული მოქალაქის უფლებების დასაცავად, არამედ, გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენ არასათანადო მოპყრობისა და სხვა დანაშაულის/სამართალდარღვევის პრევენციისთვის, ამავდროულად, ხელს უწყობს საზოგადოებაში პოლიციის მიმართ ნდობისა და ავტორიტეტის ამაღლებას.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ დისციპლინური საქმისწარმოება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტის დისციპლინური დევნის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორის, პოლიციის მაიორის [redacted] წინააღმდეგ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მის მიერ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას და მიიღოთ კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი